

ქ.თბილისი

2016 წლის 17 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 17 ოქტომბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და ა.ა.ი.პ. საგარეჯოს სპორტული გაერთიანების რაგბის მენეჯერის ზვიად ხუციშვილის განცხადება.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 14 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ ტურში თბ „წიქარა“-სა და პატარძელის „ვეფხვებს“ შორის, პატარძელის „ვეფხვები“ არ გამოცხადდა მატჩზე.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.11 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ პატარძელის „ვეფხვებს“ ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში, ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 1(ერთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.11 პუნქტი და კლუბ პატარძელის „ვეფხვებს“, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/